

(სსმ 15.02.2006 N 21 მუხ. 255)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
280.030.000.24.016.008.164

**საქართველოს დამღვევის სახელმწიფო  
მედამხედველობის სამსახურის უფროსის  
ბრძანება N 4  
2006 წლის 8 თებერვალი ქ. თბილისი**

**„მულმივი პენსიების დანაგროვის ფონდის განსაზღვრის წესის“  
დამტკიცების შესახებ**

„არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ო) ქვეპუნქტის შესრულების მიზნით, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „მულმივი პენსიების დანაგროვის ფონდის განსაზღვრის წესი“ (თან ერთვის).
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონკრული ეკისრება საქართველოს დამღვევის სახელმწიფო მედამხედველობის სამსახურს.

*ა. ცერცვაძე*

**მულმივი პენსიების დანაგროვის ფონდის განსაზღვრის წესი**

**მუხლი 1**

„მულმივი პენსიების დანაგროვის ფონდის განსაზღვრის წესი“ მომზადებულია „არასახელმწიფო საპენსიო დამღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ო) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ მულმივი პენსიების დანაგროვის ფონდის შექმნისა და განსაზღვრის წესს.

**მუხლი 2**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მულმივი პენსია – პენსიის სახეობა, რომელსაც საპენსიო სქემის მონაწილე იღებს პენსიის გაცემის დაწყებიდან გარდაცვალებამდე. მულმივი პენსია შეიძლება იყოს ერთობლივი, რაც იმას ნიშნავს, რომ საპენსიო სქემის მონაწილეები არიან მეუღლეები და პენსია საპენსიო სქემის წესის და ხელშეკრულების შესაბამისად გაიცემა ერთ-ერთის პენსიაზე გასვლის მომენტიდან ბოლო ცოცხლად დარჩენილი მეუღლის

გარდაცვალებამდე;

ბ) სახელობითი საპენსიო ანგარიში – თითოეული მონაწილის საპენსიო სახსრების მოძრაობის აღრიცხვის ფორმა, სადაც აღირიცხება საპენსიო შენაგანი და საინვესტიციო მოგება;

გ) მუდმივი დანაგროვის ფონდი – დამფუძნებლის მიერ აქტუალური გაანგარიშების საფუძველზე შექმნილი ფონდი, რომელშიც ჩაირიცხება მონაწილის საპენსიო დანაგროვის ფონდის გაანგარიშებული ოდენობის თანხები პენსიის გაცემის დაწყების წინ;

დ) მუდმივი დანაგროვის ფონდის სიდიდე – მუდმივი დანაგროვის ფონდის აქტივების შეფასებული ღირებულება;

ე) აქტუალური ვათვლები – მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების სისტემა, რომლებიც გამოიყენება სადამზღვევო ტარიფების გამოსათვლელად და კლიენტების წინაშე საპენსიო სქემის დამფუძნებლის მომავალი ფინანსური ვალდებულებების შესაფასებლად.

### მუხლი 3

1. არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ყველა მონაწილეს უხსნის სახელობით საპენსიო ანგარიშს, სადაც ირიცხება საპენსიო შენაგანი და შესაბამისი საინვესტიციო მოგება, რომლის მესაკუთრეც არის მონაწილე.

2. მუდმივი პენსიის გაცემის დაწყების წინ, მონაწილის სახელობით საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული სახსრები გადადის მუდმივი დანაგროვის ფონდში.

### მუხლი 4

1. არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი მუდმივი პენსიების გაცემის მიზნით აქტუალური გაანგარიშების საფუძველზე ქმნის მუდმივი პენსიების გასაცემ ფონდს.

2. ღროის ყოველ მომენტში მუდმივი პენსიის დანაგროვის ფონდის სიდიდე უნდა უდრიდეს ამ მომენტისათვის იმ მონაწილეთა რეზერვების ჯამს, რომელთა დანაგროვიც გადავიდა მუდმივი პენსიების დანაგროვის ფონდში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მონაწილეთა რეზერვების ჯამი გამოითვლება „სიცოცხლისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სახეობების მიხედვით სადამზღვევო რეზერვების შექმნის წესის შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო მეთაველდებლობის სამსახურის უფროსის 2005 წლის 1 ივნისის N 17 ბრძანების მიხედვით.

### მუხლი 5

მონაწილის სახელობითი საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული სახსრები, რომელიც პენსიის გაცემის დაწყების წინ გადადის მუდმივი დანაგროვის ფონდში არ უნდა იყოს აქტუალური გაანგარიშებით დადგენილ თანხაზე ნაკლები.